

იპოვე პატერნი

ილუმინატორიდან შემოსული სხივები მძინარე სახეს დაეფინა, ოდნავ გაანათა წითური უღვაში, აწეული ყვრიმალეები და კეხიანი ცხვირი, კაცმა წარბები შეჭმუხნა და თვალეები გაახილა, მზერა პირდაპირ სინათლისკენ მიმართა და ხელის დაჩრდილვით ქვემოთ, მიწისკენ ჩაიხედა. ძალიან ჰგავდა დედამიწის ზღვისპირა ქალაქების მზის ჩასვლას. რბილ შუქს ამოევსო მთელი გარემო.

კაცი ისევ ზურგზე გადაწვა და დაელოდა მომცრო ხომალდის მიწაზე დაშვებას. ასეთი ზომების მეტალის მანქანით მგზავრობამ უცნაური წარმოსახვები გაუჩინა. თითქოს სულიერი არ ჰყოლოდა ნანახი, მაწანწალაა, რომელიც არსაიდან გამოჩნდა, მოლაშქრე ღია კოსმოსიდან, შვილი, არც ერთი ცივილიზაციის. თუმცა ყველაფერი გამართულად მუშაობდა, ხომალდი სპირალურად დაეშვა და მიწაზე უხმოდ დაჯდა. კაცის სხეული გამონთავისუფლდა ბიოლოგიური კაბელებისგან, სინათლეები დაშვების მოდულზე გადაირთო და კარი გაიღო, ავტომატიზირებული მექანიზმის ყველა დეტალი იმაზე მიაჩნებოდა, რომ ათობით ინჟინერის ხელი ერია ამ კოსმოსურ ფრენაში.

ფერად ქვიშაზე ტერფის დადგმის წამიდან, თითქოს ჩრდილმა გადაუარა მთელ არეს და გარემო ერთი ტონით გამუქდა, კაცი დაიბნა და ინსტიქტურად უკან, ხომალდისკენ დაიხია. ამჯერად მხოლოდ თავი გამოყო და არემარეს მოავლო მზერა, პირველად ათეული რბილი ფერის ერთიანობას ამჩნევდა პლანეტაზე, ახლა კი ლანდშაფტიც შეაფასა, დაბალი გორაკები და ბილიკები ერთიანად ქვიშით იყო დაფარული, მის ნაფეხურს ქვიშა დაეპრესა. და, რა თქმა უნდა, კლდეები, ისინი ყველგან იყო, ქმნიდნენ ხეობებს, ერთის შემდეგ მეორე იყო აღმართული, და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცამდე აწვდენაში. ყველაზე უცნაური მათი ზედაპირი იყო, უზადოდ გლუვი და პრიალა. ერთი პალეტის ფერებით მიღებული აბსტრაქტული პატერნებით.

კაცს უკვე მოჰბუზრებოდა არაფრისგან მალვა და კვლავ დადგა ფეხი მიწაზე, ისევ გადაუარა მიწას, რაღაც უხილავმა ტალღამ, რომელსაც მსუბუქი ნიავი მოჰყვა და არემარე რამდენიმე ტონით ლურჯისკენ გადაიხარა, კაცმა თვალეები გადაატრიალა და სვლა ყველაზე მაღალი კლდისკენ განაგრძო, ცდილობდა სულიერი დაენახა ირგვლივ, მაგრამ არაფერი იყო ფერების და არეკლილი მსუბუქი სხივების გარდა, მაჯის სამაჯურზე მოციმციმე ეკრანს თითი შეახო და პატარა, თუმცა პრაგმატულ ეკრანზე მენიუ აინთო, პლანეტის შესახებ ინფორმაცია უნდოდა ეპოვნა. მეტაფორული აღწერების გარდა არაფერი იყო, პლანეტა რაღაც არტისტულ ემოციაში გაეხვიათ. რუკაზე კოსმოსური რეინჯერების კოტეჯის კოორდინატები მოინიშნა და ჯიპის ხმას გაჰყვა.

დიდი ღრო არ დასჭირვებია მისასვლელად, კოტეჯი მოწესრიგებული და ცარიელი დახვდა, ერთადერთი მეტალის ნაგებობა იყო გარემოში და თვალს მარტივად მოჰკრავდით, ხუთი კიბის ასვლით ჯერ საერთო სამზარეულოში მოხვდებოდით და შედეგ მოსასვენებელ ოთახში, გვერდით იყო სტანდარტული აღჭურვილობის

ლაბორატორიაც, რომელსაც ნებისმიერი ათვისებული პლანეტის კოტეჯში შეხვდებოდით, მეორე სართულზე კი ექვსი კაცისთვის განკუთვნილი საძინებელს და სააბაზანოს იპოვიდით. ოთახებს მინიმალისტური დიზაინი ჰქონდა და ყველა დეტალს - თავისი დანიშნულება.

ისევ ეკრანს შეეხო და მეილი გახსნა, ინსტრუქციას ეძებდა, მაგრამ მხოლოდ ბუკლეტი იპოვა, იმავე ინფრომაციით ამ პლანეტაზე, რაც უკვე წაეკითხა. მოკლედ იყო ახსნილი ამ მიწების ემპათიურობა და ბუნების იშვიათი სილამაზე, ადამიანისთვის ცნობილი პლანეტებიდან, ეს იყო, ყველაზე შესაფერისად დასახელებული, მსგავსი მისიებისთვის. კაცი დაიბნა, რადგან მისია იყო ნახსენები, თუმცა არა განმარტებული და არც ის ესმოდა, რა უნდოდა დამსაქმებელ კომპანიას მისგან, საერთოდ რას ნიშნავს ემპათიური პლანეტა. რატომღაც სირცხვილი იგრძნო, სულ ებრძოდა ტირილისკენ მიდრეკილებას, მაგრამ ისევ აუმღვრია ცრემლებმა მზერა, ეგონა დედამიწაზე მყოფები მწარედ დასცინოდნენ.

ყავის შეკვეთა დაუტოვა სამზარეულოს ბოტს, საძინებელში ავიდა, მონიტორმა ამცნო, რომ პლანეტის პირობები უსაფრთხო იყო ადამიანის ორგანიზმისთვის და სტანდარული ტანსაცმელი შესთავაზა, მუქი ფერის პერანგი ჩაიცვა, სქელძირიან ჩექმებში შარვლის ტოტები ჩაჩურთა და ისევ პირველ სართულზე დაბრუნდა. სადაც გაეკლო, ყველგან ქაოსის კვალი დატოვა, სკაფანდრი ძირს ეგდო, თაროები აერია ქექვაში, ისევ შერცხვა, რადგან ვერსად გაურბოდა საკუთარ მოუხერხებლობას. ფინჯანი აიღო და უზოში გავიდა. ნელი ტემპით ჩაუყვა კიბეებს და გზაში იხსენებდა, როგორ ჩაიარა გასაუბრებამ, რომელმაც საბოლოოდ აქ მოახვედრა. კაცს ძალიან ცუდი მახსოვრობა ჰქონდა, ვერ იმახსოვრება სახელებს, ქუჩებს, ფაქტებს, თითქოს გონება ისე გარქოვანებოდა, რომ გარემოდან ვერაფერი აღწევდა მასში, არც ის დიალოგი ახსოვდა, მხოლოდ დამსაქმებლის სახე, რომელიც იღიმოდა და გამუდმებით ეკითხებოდა - ხომ გესმით ჩემი?!

კაცმა შიში იგრძნო, იქნებ რაიმე ისეთს მოაწერა ხელი, რაც სახიფათო იყო. პროფესია არასდროს ჰქონია, მუშა ხელი იყო მუდამ და იქნებ საცდელ მასალად იყენებდნენ, გაახსენდა რომ კომპანია მეცნიერულ მიღწევებზე იყო ორიენტირებული, კიდევ უფრო დაიძაბა, არასდროს ესმოდა რა არ ასვენებდათ მეცნიერებს, რას ეძებდნენ. სწორედ ამ დროს ციფრული შეტყობინება მიიღო, რომელიც პლანეტის რუკის დეტალურ ახსნას სთავაზობდა, ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად, კაცმა თვალი გადაავლო ფოტოების გალერეას, როგორც ჩანს ყველაფერი ფერადია ამ მიწებზე - გაიფიქრა, იმასაც მიხვდა, რომ მოსწონდა ეგ ფაქტი. ეკრანი ჩააქრო, კოტეჯში დაბრუნდა და კუთხის საწოლი შეარჩია, არაფერი უნდოდა ღრმა ძილის გარდა.

შეიძლება იფიქროთ, მთავარ პერსონაჟს მეტისმეტად ხშირად სძინავსო და მართალიც იქნებით, ჯერ ისევ გაბრუებული იყო ღრმა ძილისგან, როცა გვერდით მოძრაობა იგრძნო და ადამიანის სიმაღლის სილუეტი დაინახა საწოლთან, არ გაჰკვირვებია, იცოდა, რომ დამნმარე ბოტები, ყველა პლანეტაზე იყო განაწილებული, ადამიანების ასისტენტებად. თუმცა ძილის დროს თავზე წამოდგომა, მაინც უუხერხულა კაცს, წამოჯდა და რობოტს ისე დაამტერდა, თითქოს თვითონ ელოდა მისგან ინსტრუქციას.

-რამდენიმე საათია გასული, თქვენი პლანეტაზე დაშვებიდან, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ თავს მხნედ გრძნობთ. - უთხრა ხელოვნურმა ინტელექტმა, მეგობრული ტონით.

-კარგი, კი, კარგად ვარ - მიიღო დაბნეული ბურტყუნით გაცემული პასუხი.

კაცი სწრაფად ადგა საწოლიდან, აბურდულ თმაზე ორივე ხელი გადაისვა, ამოიოხრა და ფანჯრისკენ დაიძრა, როგორც ჩანს, დღე-ღამური საათები დედამიწის მსგავსი იყო, უკვე წაშლილიყო ოქროს საათის მაგვარი, უხვ სინათლიანი პეიზაჟები, ხელოვნური განათება არსად იდგა და არც იყო საჭირო, ქვიშაც და კლდეების გლუვი, ბროლისებრი ზედაპირი სიბნელეს მკვეთრი განათებით არღვევდა, მსგავსი რამ მშობლიური პლანეტის ფოტოებზეც უნახავს, ფიტოპლანქტონებით განათებული სანაპირო, აზიის რომელიღაც ქვეყნიდან.

შხაპი მიიღო გრილი წყლით, როგორც საერთოდ სჩვეოდა. ღამით ბევრად მეტი სიცოცხლისუნარიანობა ჰქონდა სახლში ყოფნისას და მიხვდა, რომ აქაც იგივე რეჟიმი გამოჰყოლოდა. სამზარეულოში შეიარა, პროტეინის გრანოლა აიღო და პირდაპირ ახლო მიწების სანახავად გავიდა.

ბოტიც გაიყოლა მეგზურად, ახლა უკეთ არჩევდა მის სხეულს, რობოტის ანატომია, ადამიანის მოხაზულობას იმეორებდა, ისევე როგორც - სიმეტრიებს. სახსრები მოქნილი ჰქონდა და სენსორები მაღალფუნქციური, გარემოდან შესანიშნავად აგროვებდა ინფორმაციას და მისი მოძრაობა ადამიანის თვალისთვის ბუნებრივი იყო, ფუნქციონალურობისა და დიზაინის ასეთმა გადაწყვეტამ, ისე ორგანულად შეუმსუბუქა კაცს მარტოსულობა, რომ თვითონ არც კი დაფიქრებულა.

საღამოს სიმშვიდეს კიდევ ერთი მოვლენა მატებდა. ფერების ცვლილება გარემოში სულ უფრო უკეთ და უკეთ აჰყოლოდა კაცის ემოციებს, ისეთი განცდა ეუფლებოდა თითქოს გზები მისი ფიქრების გაგრძელება იყო. ხორცშესხმული, რეალური ფიქრი, რომელზეც სხეულის მთელი სიმძიმით მიაბიჯებდა. აი გრძნობდა კიდევ, როგორ მიიწეოდა წინ, თავის თავში და გვერდით ბოტის სახსრების ჩუმი მუშაობა მეგზურის ყოლის ილუზიას ჰქმნიდა, გზის არჩევა მარტივი იყო, რადგან არ იცოდა სად მიდიოდა. ამ მოკლე სეირნობაში ყველაფერი ორგანული და გასაგები ეჩვენებოდა.

კოტეჯში გამთენისაას დაბრუნდა, კიბეებზე ასვლისას თვალი მოჰკრა კარის ზემოთ ამოტვიფრულ ლოგოს, რომელიც დედამიწის დასაქმების სამინისტროს ეკუთვნოდა, ჩაფიქრებული ჩამოჯდა საერთო ოთახში, იფიქრა: „საქმე თუ მინდა ვიპოვო, ჯერ ლაბორატორიაში უნდა შევიხედო“ - იქ მისთვის ხელსაწყოების დიდი ნაიწლი გაუგებარი იყო, ყველა კარადა გამოაღო და ყველა უჯრაში ჩაიხედა, ბოლოს მარტივი, ძველებური ხელსაწყოები შეარჩია: წერაქვი, ურო, ბროლის საჭრელე ბასრი დანა, დასაკეცი ტომარა. ყველაფერი ერთბორბალაზე დააწყო და გასასვლელ დარბაზში გააგორა.

მაგიდის კიდეზე ჩამომჯდარი ყავას სვამდა და კმაყოფილი გახედავდა ხოლმე ხელსაწყოებს, უკვე გასვლასაც აპირებდა, როცა რობოტი ისევ გამოელაპარაკა:

-ვხედავ, გარემოს შესასწავლად ახალი იდეა გაქვთ - თქვა და თვითონაც ხელსაწყოებს გახედა

-ირგვლივ არაფერია კლდეების და ქვიშის გარდა, მე აქ სამუშაოდ გამომგზავნეს.

-მაგრამ არ იცით რა სამუშაო?

-იქნებ ამიხსნეს და მგზავრობამ ისე გადამტალა, გონებიდან წამეშალა, მე ვერაფერს ვხედავ.

-მოკლევადიანი სტრესი ადამიანებს სირთულეების დაძლევაში ეხმარება, უკეთ მობილიზების წყალობით, თუმცა ქრონიკულმა შფოთვამ შეიძლება გამოიწვიოს მახსოვრობის გაუარესება, მადის დაქვეითება, ზედმეტი ძილიანობა ან უძილობა.

-არ მესმის, სტრესზე რატომ მესაუბრები, მე მხოლოდ შესასრულებელ საქმეს ვეძებ, ეს ლოგიკურია ჩემ მდგომარეობაში - კაცი აირია, თავი ისე იგრძნო თითქოს თვითონ ყოფილიყოს გაუმართავი ალგორითმების პროგრამა.

-ბოდიშს გიხდით, ვიფიქრე დაგეხმარებოდათ ინფორმაცია.

კაცმა გვერდით ჩაუარა, ერთბორბალას ხელი დაავლო და კარისკენ დაიძრა, ბოტიც თან გაჰყვა, იგრძნობოდა დისტანციას იცავდა, რომ განემუხტა ადამიანის დაძაბულობა.

-რა გეგმა გაქვთ? თუ შეიძლება ამიხსენით, რომ უკეთ შევძლო დახმარება. - ხელოვნურ ინტელექტს მშვიდი ტონი და შესაშური ზრდილობა ჰქონდა. კაცი ისევ მოდუნდა და მარტივად აჰყვა საუბარში:

-მე მინდა კლდეების ნიმუშები შევაგროვო. აქ მეცნიერებმა გამომგზავნეს, როგორც ვხვდები რაღაც უნდა ჰქონდეთ, რომ მერე შეისწავლონ. ნიმუშები გამოადგება ასეთ ხალხს... ასე მგონია. - კაცმა ისევ უსუსურობა იგრძნო, ხშირად ემართებოდა ასე, როცა ვინმეს საკუთარ ჩანაფიქრებს უზიარებდა.

-არის რაღაც ლოგიკა თქვენს სიტყვებში, თანაც მეტ ღროს გაატარებთ სუფთა ჰაერზე, პლანეტა არაა დიდი ზომის, ასე რამდენიმე დღეშიც კი შეისწავლით მას. - ხელოვნურ ინტელექტს ჰქონდა უნარი, არ გაეკრიტიკებინა ადამიანები.

მართლაც, შემდეგი რამდენიმე დღე კლდეებს ათლიდნენ ნიმუშებს, მოზრდილებს და მცირეს, როგორც შეძლებდნენ და აგროვებდნენ ტომრებში, რამდენიმე წრეს აკეთებდნენ კოტეჯამდე, მალე ლაბორატორია ფერადი ბროლებით გაივსო. საკმაოდ შრომატევადი პროცესი გამოდგა. ორი სილუეტი ერთმანეთს ენაცვლებოდა ტომრის და ერთბორბალას ტარებაში, პლანეტის მსუბუქ სინათლეში დაძრწოდნენ და მათ ირგვლი სამყარო გამუდმებით იცვლიდა ფერს. თუ სილუეტებს მიუახლოვდებოდით, ყურს მოკრავდით მშვიდ დიალოგს, ნელი ტემპით გაცვლილ სიტყვებს და აზრებს.

ერთ საღამოს პლანეტის ყველაზე მაღალ კლდეს მიაღწიეს, მწვერვალისკენ უცნაური ფორმები მიედო, დაკლაკნილიყო და ნიავის დაბერვისას მელოდიური სტვენა ისმოდა მის გარშემო. ციდან სიბნელე ჩამოწოლილიყო, გარემო კი მკვეთრად ანათებდა. კაცი დაიღალა და საძილე ტომარა იქვე გაშალა, რომლითაც ასისტენტი რობოტი იყო აღჭურვილი. მალე დარია ხელი ძილმა, უკვე თვლებდა, როცა რაღაც აზრმა მოაფხიზლა, გადაბრუნდა იმ მხარეს სადაც ბოტი იჯდა და მძინარე ხმით ჰკითხა:

-რას მასწავლი, რობოტო? რის ახსნას ცდილობ?

-რას გულისხმობთ? - კითხვა შეუბრუნა ხელოვნურმა ინტელექტმა, თუმცა დაბნეული არ ჩანდა, იქნებ არც ჰქონდა ეს თვისება გაწერილი კოდში.

-ჩვენი საუბრები, რაღაცას ცვლიან ჩემში, ამარტივებს ადამიანად ყოფნას, აქ ყოფნისას და არა ეს სულელური ნიმუშები, რომელიც ახლა არც კი ვიცი საიდან მოვიფიქრე. - კაცი ისევ არ იყო კმაყოფილი საკუთარი აზრის გადმოცემით, თუმცა სიმორცხვე უკვე დაეძლია.

-გულწრფელად გეუბნებით, მიხარია თუ მართლა ასეა.

-ხო მაგრამ, რატომ აკეთებ ამას ან როგორ?

-სანამ სამსახურის პოვნას შეძლებდით, თერაპია გჭირდებოდათ, აქ ამ მიზნით გამოგზავნეს.

კაცი ჩუმად იყო, თუმცა რობოტმა მაღალხარისხიანი კამერებით დააფიქსირა მისი მიმიკები, მანსოვრობის ბარათზე ჩატვირთულ ადამიანების ათასობით გამომეტყველების სურათს შეადარა და მიხვდა, რომ კაცს მეტის მოსმენა უნდოდა.

-მე მენტალური ჯანმრთელობის და არტთერაპიის სამეფო უნივერსიტეტში შემქნეს. დედამიწაზე, ჩვეულ გარემოში ადამიანები ნაკლებად ენდობიან რობოტში მოთავსებულ ინტელექტს, რომელსაც მათი მოსმენა და დიაგნოზის შესაბამისი თერაპიის შერჩევა უნდა.

-რა საჭიროა ბოტის შექმნა, ამისთვის ფსიქოლოგები გვყავს.

-ამ სფეროს ადამიანები ჩვენს შექმნაზე მუშაობენ, ფსიქოლოგიაში კრიზისი იყო, კადრების უკმარისობის და დროის სიმცირის გამო. რობოტებს შეგვიძლია 24/7-ზე მონიტორინგი, ერთ გაწერილ კოდს ასობით ბოტში გამოიყენებენ. ჩვენ გაცილებით სწრაფად ვახერხებთ მნიშვნელოვანი სიგნალების დაჭერას ადამიანურ ქცევებში, რადგან ყველაფერი ისევ პატერნებზე დადის.

რობოტს რესურსები კამერებზე მიემართა, რადგან კაცი ისევ ჩუმად იყო, ბოტის რეაქციები შენულდა კიდევ, იმის მცდელობაში, რომ გამოეცნო რისი მოსმენა სურდა ადამიანს. ახლა ინტერესი იკითხებოდა, მის სახეზე.

-თქვენ კლინიკური დეპრესიის დიაგნოზით მოხვდით აქ. რა თქმა უნდა, ეს არ არის პიროვნების ნაკლი, ყველაზე გავრცელებული მენტალური დაავადება. - კაცმა დაინახა ბოტის მცდელობები, და მიუხედავად საუბრის თემისა მაინც მოდუნდა. ინტუიცია ეუბნებოდა, რომ უსაფრთხოდ იყო აქ.

-კოგნიტურ ეპოქაში ცხოვრებამ თერაპიისთვის მეტი ადგილი დატოვა, მე ვარ აღჭურვილი დეპრესიის მქონე ადამიანების ქცევების და მეტყველების პატერნებით, ამ მაგალითების მილიონობით სურათი, პოსტი და აუდიო ფაილი მაქვს. ეს ყველაფერი იმისთვის რომ დახმარება შევძლო.

ბოტი გაჩუმდა, კაცს ხელები თავის ქვემოთ დაელოკებინა და ცას უყურებდა. არ ჰგავდა შეშინებულს და ბოტს ეს იხსნიდა ტექნიკური ტკივილისგან.

-რა პატერნია, რითაც საუბრიდან ხედავ დიაგნოზს?

-სხვადასხვა სახის, მაგალითად თქვენ ხშირად იყენებთ პირველი პირის ნაცვალსახელებსა და აბსოლუტურ ზედსართავებს.

-ამ ყველაფერს, რომ მიყვები ლეგალურია?

-ეს ყველაფერი უნდა იცოდეთ, მენტალური ჯანმრთელობისთვის რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგოთ თქვენი ქცევის და მკურნალობის მექანიზმზე.

კაცს უცნაური განცდა დაუფლა, იქნებ პირველად ესმოდა რაღაც მიღწევის, რომელიც ჭკვიანმა ადამიანებმა შექმნეს დედამიწაზე, უცნაური იყო, მაგრამ ჰუმანურად ჟღერდა ფსიქოლოგი რობოტის აგების ფაქტი. თავს მართლაც უკეთ გრძნობდა და ამით თითქოს მეცნიერებს ეუბნებოდა: „ყოჩად, კარგი ნამუშევარია.“ პლანეტა და კაცი მთლიანად ღია ცისფერ შუქში ჩაიძირა, ადამიანი ძილს მიეცა.

მალე ის მშობლიურ მიწაზე დაბრუნდება. ფსიქოლოგიურ კვლევით ლაბორატორიაში მუშაობის იდეა უცხო პლანეტაზე გაუჩნდა, თუმცა დედამიწაზე მალევე იგრძნობს შიშს. გონებით ბოტთან საუბარს დაიწყებს, კაცისთვის ხელოვნური ინტელექტი მეორე ხმა იქნება, დიალოგების იმიტაცია ჩვევად ექცევა და არ ვიცი, იქნებ მომავალ წელს ასისტენტის ადგილიც მიიღოს.